საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №06-01/94

ქ. ბათუმი 14 აგვისტო, 2019 წ.

,,კრედიტების აღიარებისა და საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში ბსუ-ს სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესი'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ემუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ,,კრედიტების აღიარებისა და საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში ბსუ-ს სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესი'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №55 დადგენილებაში შევიდეს ცვლილება. კერძოდ, დადგენილებით დამტკიცებული წესის:

ა) წესის მე-3 მუხლი მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „3. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტები, რომელთა საფუძველზეც განხორციელდა კვალიფიკაციის მინიჭება, შეიძლება აღიარებულ იქნას სხვა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის.“

ბ) წესის მე-3 მუხლი მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „4. თუ სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსის კრედიტები ნაკლებია ბსუ-ს შესაბამისი სასწავლო კურსის კრედიტებზე, მაშინ ამ სასწავლო კურსის აღიარების საკითხს წყვეტს პროგრამის ხელმძრვანელი/კომისია სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის მიზნებისა და შედეგების ანალიზის საფუძველზე. აღნიშნული სასწავლო კურსის აღიარების შემთხვევაში, კომისია სტუდენტს კრედიტებს უღიარებს იმ რაოდენობით, რა რაოდენობითაც მას ეს სასწავლო კურსი გავლილი აქვს პირველად უსდ–ში (დასაშვებია კრედიტების არა უმეტეს 30%-ით გადაჭარბებით აღიარება).“

გ) წესის მე-6 მუხლი მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „3. უცხოეთში ათვისებული კრედიტების აღიარების შესახებ სტუდენტის განცხადებას თან უნდა ერთვოდეს უცხოეთში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (სასწავლო ხელშეკრულება (learning agreement) და სწავლის დასრულების შემდეგ სტუდენტზე გაცემული ნიშნების ფურცელი (transcript of records) გავლილი სასწავლო

კურსების/მოდულების, კრედიტების რაოდენობისა და მიღებული შეფასების მითითებით) და მათი ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი.“

დ) წესის მე-6 მუხლი მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „4. დასკვნის მომზადების შემდეგ სტუდენტი მიმართავს საჯარო სამართლის იურიდიული პირს - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების მოთხოვნით.“

ე) გაუქმდეს მე-6 მუხლი მე-5 პუნქტი.

ვ) გაუქმდეს მე-6 მუხლი მე-14 პუნქტი.

ზ) წესის მე-6 მუხლი მე-17 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „17. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტები, რომელთა საფუძველზეც განხორციელდა კვალიფიკაციის მინიჭება, შეიძლება აღიარებულ იქნას სხვა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის.“

2. დადგენილება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს და ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (სამეცნიერო კვლევების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, ფაკულტეტებს, სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს).

3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი

მერაბ ხალვაში

ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის

დანართი 2.

შეფასების კომპონენტები	თვითშეფასება და დადასტურება	დადასტურებაზე პასუხისმგებელი პირები	შენიშვნა
სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა		დეკანი	
		დეპარტამენტის ხელმძღვანელი	
სამეცნიერო პუბლიკაციები//გამოგონება/პატენტი		დეკანი	
		დეპარტამენტის ხელმძღვანელი	
		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	
გამარჯვებულ/დაფინანსებულ სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილება ან/და შესაბამის საგრანტო კონკურსში მაღალი შეფასების მიღება, მაგრამ ვერ გამარჯვება (მაქსიმალური შეფასების 80% და მეტი)		დეკანი	
		დეპარტამენტის ხელმძღვანელი	
		სამეცნიერო გრანტის ხელმძღვანელი	
სხვა სამეცნიერო აქტივობები:			
სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზებაში მონაწილეობა		დეპარტამენტის ხელმძღვანელი	
		სამეცნიერო კვლევების სამსახური	
სამეცნიერო პროექტებში სტუდენტთა ჩართულობა		დეპარტამენტის ხელმძღვანელი	
		სამეცნიერო კვლევების სამსახური	
საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობა		დეკანი	
		პროგრამის ხელმძღვანელი	
სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობა		დეკანი	
		პროგრამის ხელმძღვანელი	

სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობა		პროგრამის ხელმძღვანელი	
		სამეცნიერო კვლევების სამსახური	
სამეცნიერო სემინარების ჩატარება		დეპარტამენტის ხელმძღვანელი	
		სამეცნიერო კვლევების სამსახური	
სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში ჩართულობა		დეკანი	
		დეპარტამენტის ხელმძღვანელი	
სამეცნიერო გამოცემების რედკოლეგიის წევრობა		დეკანი	
		დეპარტამენტის ხელმძღვანელი	
მონოგრაფიის რეცენზირება/რედაქტორობა		დეპარტამენტის ხელმძღვანელი	
სამაგისტრო ნაშრომის რეცენზირება		დეკანი	
		პროგრამის ხელმძღვანელი	
სადოქტორო ნაშრომის რეცენზირება		დეპარტამენტის ხელმძღვანელი	
		სამეცნიერო კვლევების სამსახური	
სამეცნიერო ნაშრომის რეცენზირება		დეკანი	
		დეპარტამენტის ხელმძღვანელი	
საექსპერტო მომსახურება		დეკანი	
		დეპარტამენტის ხელმძღვანელი	
საერთაშორისო საგრანტო პროექტებში ჩართულობა		დეკანი	
		დეპარტამენტის ხელმძღვანელი	
სხვა;			
აკადემიური პირის კომენტარი			